საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2313-03
11.12.2023

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის სტუდენტ კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-14 მუხლის, მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-3 და მე-4 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან სტუდენტური კვოტიდან ერთ ვაკანტურ ადგილზე;

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან წარმომადგენლობით საბჭოში წარმომადგენლობით საბჭოს წევრობის სტუდენტ კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 12 დეკემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5);

3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული რეგისტრაციის გასავლელად კანდიდატმა უნდა შეავსოს თანდართული განაცხადის ფორმა (დანართი 1). განაცხადს თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ცნობა აკადემიური მოსწრების შესახებ.

4. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს კანდიდატი სტუდენტური კვოტიდან უნდა იყოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, უნდა ქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება - საუნივერსიტეტო რეიტინგის მიხედვით არანაკლებ 91 ქულისა და არ უნდა იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენელი.;

5. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის

უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2023 წლის 18 დეკემბრამდე მიაწოდოს აქტიურ სტუდენტთა სია, პირადი ნომრის მითითებით;

7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის სტუდენტ კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2023 წლის 22 დეკემბერს 12:00 საათიდან 17:00 საათამდე უნივერსიტეტის თეატრის შენობაში (მის.: ი.ჭავჭავაძის გამზ. 32).

8. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის (სტუდენტები) კანდიდატთა არჩევნებში მონაწილეობს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ყველა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. თუ სტუდენტი ირიცხება ერთდროულად უნივერსიტეტის ერთზე მეტ ფაკულტეტზე/სკოლაში, ის შეიყვანება იმ ფაკულტეტის/სკოლის სიაში, სადაც სწავლობს Major პროგრამაზე.

9. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს ირინე ბაზღაძეს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტუდნეტებისათვის ,,არგუსის“ მეშვეობით;

10. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

11. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას, იურიდიულ სამსახურს

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი